

1355  
-----  
1933

  
საქართველოს  
ქრონიკები

1355

1933

აბ. ბუბიძე

ს. ს. ს. რ.

განათლების სახელმწიფო კომისარიატი  
დაუსწრებელი პედაგოგიკური



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

24/III 50

№ 1355

7-8003

ენისა და ლიტერატურის სექცია

პროფ. აკ. შანიძე და დოც. ვ. თეთურია.

# ქართული ენა

განაკვეთი III და IV

ვ. თეთურია

კომპოზიციები.

სახელთა თავისებური პრუნება. მსაზღვრელ-  
სახაზღვრის პრუნება.

ბფილისი

1933



ტყ. ს.ტ. ი. ს.ჯ.ტ. წიგნებისათვის არსებული ფონდისათვის.  
მთავარი № 849 ცირა 700

მ ა რ თ უ ლ ი მ ე ა .

გ ა ნ ა კ ე ვ ე ბ ი მ ე გ ს ა მ ე .

§ 18. ბ რ უ ნ ვ ი ს ფ ო რ მ ი ს ა გ ა ნ ს ა ხ ე ლ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ა . მიმართულეობითი, მოქმედებითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმები გამოყენებულია სახელთა ხაზარმოებლად: ამათი ბრუნვის ფორმას დართული აქვს სახელოზითის ნიშანი - ი, მაგ.:

A. მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ი ს « თ ვ ა რ - ა დ , ტ ა ნ - ა დ , გ უ ლ - ა დ , ჰ უ რ - ა დ ... » ფ ო რ მ ა თ ა გ ა ნ გ ვ ა ქ ვ ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი : « თ ვ ა რ - ა დ - ი , ტ ა ნ - ა დ - ი , გ უ ლ - ა დ - ი , ჰ უ რ - ა დ - ი ... » . ა მ ა თ მ ს გ ა ვ ს ა დ ა ა წ ა რ მ ო ე ბ უ ლ ი წ ი ლ ა დ ე ბ ი : « მ ე ს ა მ ე - დ - ი , მ ე რ ვ ე - დ - ი , მ ე ა თ ე - დ - ი , მ ე ა ხ ე - დ - ი » და ს ს ჯ ა რ ი გ ი ს მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ე ლ ი რ ი ც ხ ვ ი თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი ს ა გ - ა ნ « მ ე ს ა მ ე , მ ე რ ვ ე , მ ე ა თ ე , მ ე ა ხ ე » და ა . შ . ა ნ ლ ო ვ ი უ რ ა დ ა ნ ა რ მ ო ე ს ი ს ე თ ი ტ ვ რ მ ი ნ ე ბ ი , რ ო ვ ო რ ი ც ა თ : « ფ უ ლ - ა დ - ი ( მა გ . „ ფ უ ლ ა დ ი ს ა ხ ს რ ე ბ ი ს მ ო ბ ი ლ ი ნ ა ც ი ა “ ) , კ უ მ შ ვ ა - დ - ი , ბ რ უ ნ ე ბ ა - დ - ი ( გ რ ა მ ა ტ ი ვ უ ლ ი ტ ვ რ მ ი ნ ე ბ ი ა ) , დ ე ნ ა - დ - ი , დ ნ ო ბ ა - დ - ი , ო რ ე - კ ა - დ - ი , წ ო ნ ა - დ - ი , ჭ უ დ ა - დ - ი » ( ფ ი ბ ი ვ ი ს ტ ვ რ მ ი ნ ე ბ ი ა ) და ს ს ჯ ა მ რ ა ვ ა ლ ი .

B. მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ი ს « ბ უ ნ ე ბ - ი თ , ა რ ს ე ბ - ი თ , შ ე მ - თ ხ ვ ე ვ - ი თ , დ ა მ ა ტ ე ბ - ი თ » და ს ს ჯ ა თ ა გ ა ნ მ ი ე ი ლ ე თ : « ბ უ ნ ე ბ - ი თ - ი , ა რ - ს ე ბ - ი თ - ი , შ ე მ თ ხ ვ ე ვ - ი თ - ი , რ ი ც ხ ვ - ი თ - ი , დ ე მ ა ტ ე ბ - ი თ - ი » და ს ს ჯ ა ა ხ ლ ა გ ა ს ა გ ე ბ ი უ ნ დ ა ი ყ ო ს , თ უ რ ო ვ ო რ ა ა ხ ა წ ა რ მ ო ე ბ ი გ რ ა მ ა ტ ი ვ ი ს ა და ს ს ჯ ა დ ა რ გ ე ბ ი ს მ ო ე ლ ი რ ი ვ ი ტ ვ რ მ ი ნ ე ბ ი : « კ ვ ი თ ხ ვ - ი თ - ი , თ ხ რ ო მ - ი თ ი , ს ა ხ ე ლ ო ბ - ი თ - ი , მ ი ც ვ მ - ი თ - ი , დ ა დ ე ბ - ი თ - ი , უ ა რ ყ ო თ ვ - ი თ - ი , ბ ე ჭ ო ვ - ი თ - ი » და ს ს ჯ ა მ რ ა ვ ა ლ ი .

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : ა რ ი ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა , რ ო მ ს ა ხ ე ლ ი მ ი ლ ე ბ უ ლ ი ო რ ო ვ ე ( მ ო ქ მ - მიმართ) ბრუნვის ნიშნების შემცველი ფორმისაგან: « გ ე ლ - ი თ - ა დ - ი , ძ ი თ - ი თ - ა დ - ი »



ც. ნათესაობითი ბრუნვის «მ-ის, თავ-ის, სხვ-ის, ვი-ის» (\*ვი-ის<sup>1</sup>)» ფორმებისაგან გვაქვს: «მ-ის-ი, თავ-ის-ი, სხვ-ის-ი, ვი-ის-ი» სახელოები, მაგ.: «მისი ძმა, თავისი სიტყვა, სხვისი სავამე, ვისი მომხრე». ამავე ბრუნვის შრავლობითი რიცხვის «მა-თ, თავიან-თ, თომიან-თ...» შავალითუბისგანაა წარმოშობადი «მა-თ-ი, თავიან-თ-ი, თომიან-თ-ი» და სხვა (იხ. ლამატები 23).

ესათვის ბრუნვითი ფორმა საჭიროა რთული სიტყვის (კომპოზიტის) მისაღებადაც. მაგრამ ჯერ გავიგოთ: რა არის

§ 19. შ ა რ ტ ი ვ ი და რთული სახელო. თუ სახელი ერთ ფუძეს შეიცავს, იგი შ ა რ ტ ი ვ ი სახელია (მაგ.: «ბავშვ-ი, წიგნ-ი, მამა, ხე, კალთა» და სხვა შრავალი), ხოლო თუ ორ ან ორზე მეტს ფუძეს შეიცავს, მაშინ რთული სახელია (მაგ.: «მუშა-ხელი, ხელ-შეკრულება, ათ-წლოედი, შავ-თვალ-წარბა» (სხვ)).

ა. რთული სიტყვა (ანუ უცხო ენაზე კომპოზიტი) მნიშვნელობის თვალსაზრისით ორგვარია: ერთ ცნებრიანი და ორ-ან მეტ ცნებრიანი. ერთ ცნებრიანი კომპოზიტი ისეთი სახელია, რომელიც ორი ან მეტი ფუძისაგან შედგება, მაგრამ მნიშვნელობა შემადგენელი სიტყვებისა ვი არა აქვს შერჩენილი, არამედ იძლევა სხვა, ახალ მნიშვნელოვანს, მაგ., «თავთავი» რომ ვამბობთ, ვიცით, რომ იგი წარმოშობადი «თავ + თავ»-ისაგან, მაგრამ არცერთი ჩვენთაგანი არ გულისხმობს ორ თავს, არამედ წარმოადგენს მხოლოდ ჰურეულის თაველოს, ჰურეულის ნაყოფს. ასევე

1) ვარსკვლავი (\*) იმის მაჩვენებელია, რომ ფორმა აღდგენილია. ასეთი ფორმა იყო მოხალღნული, მაგრამ არ იხმარება.

2) კომპოზიტი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს «შეღვენილს». პროფ. ა. შანიძე კომპოზიტს ქართულად «მხულ სახელს» ეძახის (ქართ. გრამ., § 55, 33-66).



«ხელმოკლე» გლეხი კი არ ნიშნავს გლეხს, რომელსაც «ხელმოკლე»  
 ლე » აქვს. არამედ **ლ ა რ ი ბ** გლეხს. აქიდან ჩანს, რომ კომპონიტს  
 აქვს შემადგენელი სახელოებისაგან **გ ა ნ ს ს ვ ა ვ ე ბ უ ლ ი** მნიშვნელო-  
 ბა. «დაქცეული ოჯახი»-თ რომ იტყვიან, ჩვენ წარმოგვიდგება სახე-  
 კარი, კარ-მიდამო დაქცეული, განადგურებული. ერთი სიტყვით, აქ  
 დახასიათებული იქნება საგნის სახელი — ოჯახი. სულ სხვაა, როცა,  
 ამბობენ: ოჯახ-დაქცეული. აქ ოჯახის — საგნის სახელის —  
 დახასიათება კი არ სურთ, არამედ პირივედ მისა, რომელსაც ოჯახი  
 დაქცეული აქვს. აქიდან ჩანს, რომ «დაქცეული ოჯახი» სხვა ყოფიდა  
 და «ოჯახდაქცეული» სხვა. პირველ შემთხვევაში სიტყვებს თავ-თავი-  
 სი მნიშვნელობა აქვთ შერჩენილი («დაქცეული ოჯახი»), უკანასკნელ  
 შემთხვევაში კი არა: «ოჯახდაქცეული» ისეთივე თვისების მარჯვენებელა,  
 როგორც «გაძარტახებული», «განადგურებული» და სხვა. ასეთი კომპო-  
 ზიტებიც ერთგვარია.

**ბ. ო რ ც ნ ე ბ ი ა ნ ი** (ან მეტყნებინი) კომპონიტი ისეთი რთული  
 სახელია, რომელიც შედგება რამდენიმე (ორ-და მეტ-) ფუძისაგან და  
 ყველა ფუძეს თავ-თავისი მნიშვნელობა აქვს შერჩენილი, სხვა — ახალ  
 მნიშვნელობას არ იძლევა. მაგ.: «და-ძმა (= და დ ძმა), ცოლ-ქმარი  
 (= ცოლი და ქმარი), ქართლ-კახეთ-იმერეთი (= ქართლი, კახეთი და  
 იმერეთი) და სხვა მრავალი. ასეთი კომპონიტის ცალ-ცალკე სახელებად  
 დაშლა და მათ შორის «და» კავშირის ხმარება შეუძლებელია.

§ 20. **კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ ი ს მ ა რ თ ლ წ ე რ ა**. ერთგვარია  
 კომპონიტი (რამდენი ფუძისაგანაც უნდა შედგებოდეს იგი) ყოველთვის  
 ერთად უნდა ვხერხეთ. ფუძეთა შორის ჰატიარა ხაზის (დფთვის) ხმა-  
 რება, ან მით უმეტეს მათი ცალ-ცალკე წერა არ იქნება სწორი. სანი-  
 მუშოდ მაგალითები ამოვიღეთ გვ. ნინოშვილის ერთ-ერთი მოთხრო-  
 ბიდან — „გოგია უიშვილიდან“: «გულიგატეხილი, ოჯახდაქცეული, ვაჟკა-



კონია, ვულკანგარდ, ბრანშმორეული, ლონემიხდილი, პირმოტეხილი, სულწასული, სულდგმული, წელმონწყვეტილი, არაყგადაურული, შუა-დღის, თავბრუდახვეული, გულშემოყრილი» და სხვა. ამათგან ზოგი ერთად დაბეჭდილია და ზოგიც შუაში ჰატირა ხაზით — დეფინიოთ, მაგალითად, ერთად დაბეჭდილი: « ვაყვაცობა, გულმაგარად, ლონემიხდილი, სულწასული, სულდგმული... ». მაგრამ დეფინიოთა: « გულ-გაბეხილი, თქახ-დავცველი, პირ-მოტეხილი... » და სხვა. ერთი კომპოზიტი კი თრივე სახითაა წარმოდგენილი: « ბრანშმორეული » და « ბრანშ-მორეული ». ნამდვილად კი ყველა ეს ერთად (უდუფინოთ) უნდა დაიწეროს.

ორ- და მეტწიგებიანი კომპოზიტი შუაში დეფინიოთ იწერება. ამის მაგალითებია იმავე მითხრობიდან: « წერ-ულოვაში, ცოლ-ქმარი, ჰურ-ღვინთ, ქმარ-შვილი, ცოლ-შვილი » და სხვადასხვა. ერთი სიტყვით, რომცა კომპოზიტის შემადგენელთა შორის და ვაჟშორის ჩახმა შეიძლება (მაგ: ცოლ-შვილი = ცოლი და შვილი), მაშინ დეფინს ვიხმართ. აღსანიშნავია, რომ მრავალცნებიანი კომპოზიტის მართლწერაში შეცოლმას შედარებით იშვიათად აქვს ადგილი. შეცოლმას უმთავრესად ვხვდებით ერთცნებიან კომპოზიტებში. ძველი და ახალი მწერლები ერთნაირ სიტყვებს ნაირნაირად წერენ. ამით აიხსნება შემოდასახელებული მაგალითის სხვადასხვაგვარად წერა (« ბრანშმორეული » და « ბრანშ-მორეული »).<sup>2</sup>

მე 21. კომპოზიტების შედგენილობა. კომპოზიტი მიღებულია ან ერთი ფუძის გაორკვევით ან სხვადასხვა ფუძის შეერთებით.

A. ერთი ფუძის გაორკვევით წარმოდგარი კომპოზიტი

1) მაგალითები ამოღებულია ეგნ. ნინოშვილის « თხზულებათა სრული კრებულიდან », ტ. I, ს. ხუნდაძის რედაქციით და შენიშვნებით, ტფ. 1932, გვ. 125-135.

2) მდგომარეობა საკმაოდ შეიცვლება, როცა გამოვა ქართული ორთოგრაფიული რეჟისიონი.



ტებია: «**ლულ-ლულ-ი, ბუტ-ბუტ-ი, ტიკ-ტიკ-ი, ჭიკ-ჭიკ-ი, კუკ-კუკ-ი**» და სხვა. რასაკვირველია, ახეთი რაულნი სიტყვები ერთ ცნებას გამოხატავენ და ამიტომაც ერთად იწერებიან, მაგ., ახე: **ლულულნი, ბუტბუტნი, ტიკტიკნი, ჭიკჭიკნი, კაკკაკნი**» და სხვა შრავალით.

**შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი :** 1. ზოგჯერ ფუძის განმეორებისას იცვლება ბოლოში მოსალოდნელი რ, ნ ძველები ლ თანხმოვნად (ე.ი. რისმილიაციას უჩიება ადგილი). მაგ.: «**ბარ-ბარ-ი, ჩურ-ჩურ-ი, წან-წან-ი, ცან-ცან-ი**» და ზოგი ამათ მგავსი შავალითის ნაცვლად გვაქვს: «**ბარ-ბალი-ი, ჩურ-ჩული-ი (შდ. ხარ-ხარი-ი, კურ-კური-ი), წან-წალი-ი, ცან-ცალი-ი**» და სხვა. ესენიც, ცხადია, ერთად უნდა ვწეროთ: «**ბარბალი, ჩურჩული, ხარხარი, კურკური, წანწალი, კანკალი, ცანცალი, ძუნძული**» და სხვა.

2. ფუძის გაორკვეებისას შეიძლება შეიცვალოს კონსონანტის ნაწილში ა, ე, ი ხმოვანი უ ხმოვნად, შავალითად. ახე: **ა-ს ადგილას შავავალითის -უ-:** «**ბალი-ბული-ი, რამე-რუმე, ხარ-ხურა**»... **ე-ს ან -ი-ს ადგილასაც იგივე -უ- გაჩნდეს:** «**ერთ-ურთ-ი**» (ან **აყრთ-ყრთ**), «**ბიჭ-ბუჭ-ი, ბინდ-ბუნდ-ი**» და სხვა. შეუძლომელი არ არის -უ-ს გარდა სხვა ხმოვანიც შეენაცვლოს შავ, მაგ.: **ლიშ-ლაშ-ი, რიჟ-რაჟ-ი**» და სხვა.

ანალოგიურად ნაწარმოები კონსონანტებია: «**აქარა-აქურ-ი, რახა-რუხ-ი, შტლაშა-შტლუშ-ი, ფარათ-ფურათ-ი**» და სხვა, ელენდ პირველ ნაწილზე დართულია **-ა ან -ი** («**დავა-დუვა-ი, ურთი-ურთ-ი**»). ნაშინარ სახელოთაგან წარმოებული კონსონანტებში მოსალოდნელი ფუძისეული **-ე-ს შენაცვლებულია -ა-,** მაგ., «**ხემაქა-ხაგან გვაქვს: ხემაქა-ხუმაქი**», «**ტყეცა-ხაგან: ტყეცა-ტყეცი**» და სხვა.

3. ფუძის განმეორებისას შესაძლებელია ხმოვნის შეცვლასთან ერთად ან მის გარეშე თავკიდური თანხმოვნის შეცვლაც, მაგ.: «**ბურდა-ბურდა, წარა-მარა... კუჭ-მაჭი, გიჟ-მაჟი**» და სხვა, ან თანხმოვნის დაბრუნება აქვს ადგილი: «**აკვ-მარე, ახლო-შახლო, იჩი-ტინჩი...**»

4. გაორკვეებულ ფუძეში შთის სმინად არის მოსალოდნელი კავშირი «**და**», მაგ.: «**სხვა-და-სხვა, ფეხ-და-ფეხ, კვალ-და-კვალ, პირ-და-პირ, გულ-და-გულ, თვალ-და-თვალ**» და სხვა.

ყველა ესენი, როგორც «**და**» კავშირთან გაორკვეებული ფუძეები, ისე ხმოვანშეცვლილი, ან თანხმოვანშეცვლილი, ან თანხმოვანდართული გაორკვეებული ფუძეები შთაი ერთცნებულობის გამო იწერებიან ერთად, უდრევიზოდ, მაგ.: «**ფეხდაფეხ, სხვადასხვა... რაქ-რაქი, ერთურთი, რამერუმე, ბიჭბუჭი, ახლომახლო**»... და ანალოგიები:





მაგ.: « რამე-რუმე, ბალახ-ბუჩხინი, მიწ-ბუჩხი, ღვინო-რუხი, ხურდა-მურდა, ახლო-მახლო » და სხვა).

ბ. რთული სახელი რთვა ხსავდა ხსავა ფუძის შევრთვ-ბით არის მიღებული, მაშინ პირველი ნაწილი შეიძლება იყოს მარ-ბოღვენილი

1. ფუძის სახით: « ვაჟკაცი (ვაჟ+კაცი), ძვირფასი (ძვირ+ფასი), წარბვასხნილი (წარბ+ვასხნილი), მუშახელი (მუშა+ხელი), მამაკაცი, ღონემიხდილი... თვალ-წარბი, ხელო-ფეხი, და-ძმა, ხე-ტყე, კალო-სა-ბძელი » და სხვა. მრავლობითი რიცხვის ფუძეც გვხვდება კომპოზიციის პირველ ნაწილად: « თვალგებდაწყებელი » და სხვ.

შენიშვნები: 1. არის შემთხვევები, რომ კომპოზიციის პირველი ნაწილის (ფუძის) ბოლოკიდური - ა მოკვეცილია: « გავზავნ-ვაშოვზავნა (გავზავნა+ვაშოვზავნა), მიწერ-მიწერა, აღებ-მიცემა » და სხვა. - ეს მოკვეციან იშვიათ შემთხვევებში ადგილი, როცა პირველი ფუძე ორბოლოვანი-ზე მეტია (მილოწვ-მოლოწვა, მიწერ-მოწერა... შტ. წენა-კლოკა, მისვ-ლო-მოსვლა). « დედ-მამა » - დაკარგულია, თუმცა « დედა » ორ-მარცვლიანზე მეტი არ არის.


2. წოკიერთი კომპოზიციის პირველი ნაწილი კაცს ფუძე ეგონება, ნამდვილად კი იგი სხვადასხვა ბრუნვის ფორმისგანაა წარმოდგარი, მაგ.: « ხელნაწერი » მიღებულია « ხელთნაწერი » საგან (ღწერილებით ქვეით მწიქ)

3. სინთეზისაგან (ერთობლივი ფუძე მნიშვნელობის სხვადასხვა სიტყვისაგან) შემდგარი კომპოზიცი ღვიზიან ჯაინერება, აქუმცა კომპოზიცი ერთკენიანია, მაგ.: « ყოფა-ცხოვრება, შიშველ-ბიბველი, ბედ-იღბალი, ნაყარ-ტუტა, ძალ-ღონე » და სხვა (კომპოზიციის შემადგენელი სახელოა შორის « და » შეიძლება ვიხმართ: « ბედ-იღბალი = ბედი და იღბალი »).

2. ს ა ხ ე ლ ი თ ი თ ბ რუნვაშია კომპოზიციის პირველი სიტყვა:

1) ამათი შესავსია რიცხვის გამომხატველი სახელები: « ორასი, ხუთასი, რვაასი » და სხვა, ესენი წარმოდგენ: « ორ+ასი, ხუთ+ასი, რვა+ასი, ათ+ასი » და სხვა. « და » კავშირინი რიცხვის გამომხატველი სახელებიც ერთკენიანი კომპოზიცი და პიბლო ერთად იწერება: « ცეცხალი (= ცეც+ალი), ცეცხალმეტი, სამოცდაჩვიდმეტი, ოთხმოცდაცხრამეტი » და სხვა.





ა. ნოტივერ მხოლოდ. რიცხ. ნათესაობითი ბრუნვის — ს კლემენტი ვარ-  
 გის: «მამიდა (= მამის + და), დეიდა<sup>ა</sup> (= დედის + და), მამინაცვარი (= მამის +  
 ნაცვარი)» და სხვა. აქ — ს ბვერის დაკარგვას სული შეუწყო იმ ვარტულებამ,  
 რომ კომპოზიტი გამოხატავდა ახლო მნიშვნელობას და სიტყვათა  
 ზირვანდელი შედგენილობის დაკვირვება არ იგრძნობოდა (ფ. მ. შ. მ.).

ბ. — ს იკარვის განსაკუთრებით მაშინ, როცა მომდევნო სიტყვის თავი-  
 დური ბვერა მიშინა ან სისინა თანხმოვნებია ს, მ ან ძ: «წუთისთველი  
 (= წუთის + სთველი), ტანისამოსი (= ტანის + სამოსი), ზმისათათი (= ზმის  
 + საათი)... შვილიშვილი (= შვილის + შვილი), ბიძაშვილი (= ბიძის + შვილი +  
 ბიძა-მს + შვილი)...» უკანასკნელის შავკარადა ნაწარმოები ყველა «შვილი-  
 შვილი» და «ძე»-ზე დათავებული გვარი: «ქუჩისშვილი (= ქუჩის + შვილი), უნა-  
 თლიშვილი (= უნათლის + შვილი = უნათლისა + შვილი)... დროიძე (= დრო-  
 ის + ძე)» და სხვადასხვა.

გ. თუ — ს არ ათის მოკვეცილი, შეიძლება იგი დამსგავსოს მომდევ-  
 ნი თანხმოვანს: «ქიშკარი» (= ღის + კარი, შდ. ჯარისკაცი).

დ. არის შემთხვევები, რომ ნათეს. ბრუნვის ნიშანი — ის (მხოლოდ-  
 და თ (მრავლობითში) მთლიანად ეკვეცება კომპოზიტის პირველ ნაწილს,  
 მაგ: «თავშალი (= თავის + შალი), ცხვირსახოცი (= ცხვირის + ხახოცი), ტან-  
 საცმელი (= ტანის + საცმელი)»... ან: «ფეხსაცმელი (= ფეხსა + საცმელი,  
 მ. ი. ფეხების + საცმელი), ხელნაწერი (ხელთა + ნაწერი: იხ. ზემთა), ხედი-  
 სი (= ხელითა + თვასი)» და სხვა.

აქედან ჩანს, რომ კომპოზიტის განხილვისას საჭიროა სიღრმეხილვით გა-  
 ზიერება, რადაც «შვილიშვილი», «ხელსაქმე» და მსგავსი მაკალითები არ  
 მიქიხნითა ისეთი რთული სატყვად, სადაც პირველი ნაწილი ან სახედობითი  
 რეტრეზია დასმული ან მინდა თუკა (შდ. მ. 1, 2).

შენიშვნა. კომპოზიტს რომ ახალი მნიშვნელობა დაეკავშირებოდეს,  
 იმ კარგად მნიშვნელობათა დამატება მის შემადგენელ სიტყვებს, არაა  
 შესაძლებელი.

\*) ამ დ ბვერად დაკარგულია.

ქვემოთ (იქვე) ბგერითი შედგენილობისაჲ: ადრამიდიანი...  
+ დრამი, გურგულიანი: «ქრქვეთი», წიხვილი (= წყლიანი + ფრვილი?), ჭიმილი  
(= ჭია შარბისა), ჭიშკარი (= ბჭის კარა), თურმავები (= ათა + დრამი + შებენი),  
მეტი (= ათა + სუთა + მეტი, ამიტომ არაა სწორი: თუთხმეტი, ხუთმეტი)...

ბ 22. შ ე მ ო კ ლ ე ბ უ ლ ო ა ა ხ ე ლ ე ბ ი. A. ძველი თან-  
ვე ცნობილია, რომ წერის დროს ადგილისა და დროის ევონომიისათვე  
სიტყვები შემოკლებულად აღწერილობდა. ძველსა და საშუალო ქართულში წერდნენ  
სიტყვათა თაკვიდურ ან თაკვიდურ-ბოლოვიდურ ასოებს ქარაკმბია და კთხულოთ-  
დენ კი მთლიანად, მაგ. ასე: წყდენ: რ, რნ, ყნ, აფ, ჭდ... და კთხულოთ-  
დენ: «რაშელუ, რათა, ყოველი, არამედ, ჭეშმარიტად» და სხვა. ახალს ქართულში  
შეიქმნა სპარსულშია წერაში ქარაკმბიანი სიტყვების ნაცვლად წერტილიანი  
შემოკლებული სიტყვები ან სიტყვათა თაკვიდური ასოები წერტილით, მაგალი-  
თად, ასე: «მაგ. = მაგალითად, და სხ. = და სხვა, ქალო. = ქალიაქი, სოთუ. = სოფე-  
ლი, საქ. = საქართველო, სახ. = სახელმწიფო, საკ. = საკავშირო, გან. კანყ. = კან-  
იალოების განყოფილება, სახ. - ს.ბ. = სახელმწიფო - სამეურნეო» და სხვა. ან: «ე.ო.  
= ესე იგი, ე.წ. = ეგროფილოგიკული, კ.წ.(ბ) = კომუნისტური პარტია (ბოლოშევიცე-  
ბისა), ა.წ. = ანა წელოს, და ა.შ. = და ასე შემდეგ, მ. = მანეთი, კ. = კაპიტი,  
ს.ს.ს.რ.<sup>1)</sup> = საქ. სოც. სამართალ რესპუბლიკა» და სხვა. ზომის შემოკლებულ სა-  
ხელწოდებებთან წერტილის არ სვამენ: «მ = მეტრი, მმ = მილიმეტრი, წა =  
ჭეჭმარი» და სხვა. ყველა ეს სრულად იკითხება. ევონომიას ამ ადგილით  
აქვს მხოლოდ წერაში, კითხვა-ლოპარაჲში კი არა.

B. განსაკუთრების შემდეგ შემოვიდა და ხნრავად გავრცელდა ლოპარაჲში  
და წერაშიც ე.წ. შემოკლებული სიტყვები, როგორცაა: «ჭედიანსტანუკი, განსახ-  
კომი, სახელგამი, მუშევი» და სხვა. ამ ხ ა ბ ჯ ო ა ა ს ი ტ ყ ვ ე ს ო ზ გ ო რ ე  
შეთ ზოგიერთი ეძახის, ხუთმო სჯალოთან ერთად ბვერი ღირსება აქვს: მათი


<sup>1)</sup> ზოგი ასე შემოკლებულ სახელებს რუსულის მიხედვით: კთხულოთ, მაგ. აყ-  
ეს ეს გ ღ რ და სხვ., რად ქართული თვალსაზრისით არაა სწორი.

ხმარებთა დიდ ეკონომიას ვეწვევთ წერა-ლიაზარაჲში. ამიტომა, რომ  
ხშირად ახალი დაწესებულებების დაარსებისთანავე ჩნდება შემოკლოვ-  
ბული სახელწოდება და წერათუდაჲ ვრცელოდებან. მათი ხმარებნი წინა-  
აღმდეგ ბრძოლა ღრეს ამათ იქნებოდაჲ. ვაშეთებთ მათ ვრთველად  
იყენებენ. მაგ., ნ. თებერვლის ვაშეთ „კომუნისტის“ ბირველ ცვრებზე,  
სადაჲ ა.-ვ. სამხარეთ კომიტეტისა და ხაჭ. ს. ა. ხ. კ. მ. ს. ა. მ. ს. და  
საქ. კ. ბ. (ბ) ცეკას ფადგენილოშებთა დაბეჭდილად, გუბავება შემდეგ  
შემოკლებული სიტყვებთ: 1. ანთუმი, რაილიმასკომი, რაიხარებრლოთ,  
კომისია, პოლოტკანყოფილუბა, კომპაჲშირა, შინსახვომი, 2. ო. ვ. კ. ა.,  
ბროფსაბჭო, პარტიზანებანიატრა, კოლომეჲნებომა, ტრანტორსცენტრი, ცე-  
კაჲშირი, კომპიჲენეობა, ხახლორბსამმართველოთ, საქაბტეჲში, პო-  
ლოტსამმართველოთ, საქსათბომი, სოფლომეჲრმარაგო, საქმარაგვასაღე-  
ბა, საქმარაგვამთნტა, ფლორატმარაგო, ფერადლოთაფარმარაგო, რაიმიწვანი,  
ორგბიერთა და მხეჲ. ვებნე შემოკლებულია სხვადასხვახარად განვიბო-  
ლოთ, აუ რთვანს ნეტა მათი „შემოკლებან“.

I. ს. ა. ხ. ვ. უნდა სახელია შემოკლებული და საგნის სახელწოდება  
შემოკლებულია აქნებ. მაგ.: 1. ა. ვ. რ. - ა. ვ. ღ. (მომლოთ), კილოთ  
= კილო (კრამთ), ს. ა. ვ. რ. - ხ. მ. (სალობტა) ა. ვ. ბ. ა. მ. ხახით რუსული-  
ღანია შემოსულია.

II. ს. ა. ხ. ქ. ყველა სახელია შემოკლებულია გარდა უსახსურედი-  
სა. ხეგვანს მიწლიად აღებულად ერთი ან იშვიათად ორი მარსვლით.  
მაგ.: ანთუმიმეჲრნეობა = კოლექტიური მეჲრნეობა, სახლორბსამმართვე-  
ლოთ = სახლორბსამმართველოთ, საქსათბომი = სახლორბსამმართველოთ, საქკომ-  
ბსა კომისიათა ხაბტეჲთა და სხვან.

1. რუკებან შეგნა ათვჯა და დაინერა შემოკლებულ სიტყვათა ორბება-ბაგნე.  
სიჲ იყოჲს სიჲ კოლომეჲნებომა მათ ვარკვებან ცხოვერებამ იხინი ვანამტეკა ბ იხეა-  
ჯი მარაგვამთნტა მარაგო, რაილარს სხვან ანთუმიმეჲრნეობა სიტყვებან.  
2-ი ხახლორბსამმართველოთ ნიშანა. მოლოთაანბმოქთან კვდოლო სახლორბს  
- ა. რაილარს ხახლორბსამმართველოთ.



III სახე. ყველა სახელი შემოკლებულია: „რაილმასკომი“ = რაიონის აღმასრულებელი კომიტეტი, განსახკომი = განათლების სახალხო კომისარიატი“ და სხვა.

IV სახე. სახელითა პირველი ბგერები შეერთებული: „ზა-ჭეხ-ი“ = ზემო-ავჭალის-ჭიდრო-ელექტრო სადგური“ და სხვა.

V სახე. ნ ა რ ე ვ ი ა: შეერთებულია III და IV სახე, ე.ი. პირველი სახელის ნაწილია აღებული და დანარჩენი დახვლითა თაკვილური ბგერები, მაგ.: „აბჭესი“ = აბაშის ჰიდრო-ელექტრო სადგური“ და სხვა.

VI სახე. სახელითა პირველი ასოების რუსული სახელწოდებებია შეერთებული, მაგ. „ცეკა“ = ცენტრალური კომიტეტი“. ც ასო სახელია ცე და კ ასოები კა. შიდა შეწყობა იქნება ცეკა სახელწოდებას.

თქმულის მიხედვით რომ ტაბულა შევადგინოთ, ანუ ნაწილ მიიღებს: იხ. ტაბულა II, გვ. 12.

ესენი ასალი ცხოვრების დამახასიათებელი სიტყვებია, ენაში შემოსული და განმტკიცებული. ამიტომ, ბუნებრივია, შიდა შეწყობა ისევე ყოველმხრივად საჭირო, როგორც სხვა სიტყვებისა. ენის ინტონაციისათვის ამათ დიდი მნიშვნელობა აქვთ, და თავის დროზე ამ საკითხს ვიდრე შევხებით.

შემოკლებულ სიტყვათა შარტლწერა. შემოკლებული სიტყვა ორგანოდ იწერება: ან ერ თ ა დ, ან ც ა ლ ო ც ა ლ ო კ ე. 1- როცა შემოკლებულ სიტყვათა გაერთიანება ზედა სახედავ ნაწილადგენა არ ხერხდება, მაშინ შიდა ცალ-ცალკე - ერთმანეთისაგან დაშორებულად - წერენ ზედა ნაწილს უხვამენ, მაგ. ახვ: ახვ.კ.პ.(პ), საქ.სახ.წვდ. ინსტიტუტი“ ზედა, მაგრამ კლასიკურად სრულად. „საკლასიკო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა), საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი“ ზედა. 2. როცა გაერთიანება ხერხდება, მაშინ იწერება ერთად, მაგ.: აღმასკომი, რაილმასკომი, რაიმიწვანი, პარტკომი, მუშაკლასი“ ზედა და სხვა. ესენი კომპოზიციები.


სახე	რთგორაა მიღებული:	საიდანაა მიღებული:	რაა მიღებული:
I სახე	სახელია შემოკლებული (კვეცივი სახელი ცაცე იხმარებდა)	ავტო [მობილი] კილო [გრაში]	ავტო კილო
II სახე	წინა სახელი ან სახელები შემოკლებულია და ემატება ბოლო სახელი უცვლელია.	პროფ [ესიონაიღური] კავშირი სოც [ინდისტრული] შექმნება პარტი [იუსული] ორგანიზაცია კომ [უნისტური] პარტია	პროფკავშირი სოცშექმნება პარტი ორგანიზაცია კომპარტია
III სახე	ა) ორივე სახელი შემოკლებულია და ისეა შეერთებული. ბ) ყველა სახელი შემოკლებულია.	მუშ [ათა] ფაქ [ულოტები] სახელ [ფიფო] გამ [ომცემლობა] მუშ [ათა] კორ [ესპონდენტი] მუშ [ათა] გე [გლეხთა] ინ [საეცია] მიწ [ათმოქმედების] სახ [არის] კომ [ინარობი] რაი [ონის] ალმას [რეგული] კომ [იტები]	მუშფაქი <sup>2</sup> სახელოგამი <sup>2</sup> მუშკორი მუშგლეხინი <sup>2</sup> მიწსახკომი რაიალმასკომი
IV სახე	სახელითა პირველი ბგერები შეერთებული	ც [ენბარდური] ა [ლმასრეგული] კ [ლ-მიტები] ს [ახარხო] მ [კურნეობის] უ [მალეხი] ს [აბჭო] პ [როტარული] ტ [ურიზისი] ე [ცს-კურსისი] ს [აზოგალობა].	ცაკი <sup>2</sup> ს მუხი ბტეხი
V სახე	ნარკვი (III + IV სახე): პირველი სახელი შემოკლებულია და ემატება სხვა სახელითა პირველი ბგერები.	ტიონ [ის] პ [ილრო] - ე [ლოქტრო] ს [აღკური] აბ [აშის] პ [ილრო] - ე [ლოქტრო] ს [აღკური]	ტიონჭეხი აბჭეხი
VI სახე	სახელითა პირველი ახლების რუსული სახელითა დამატებული.	ც [ენბარდური] კ [ომიტები] (ცახს სახელია ცე გ კ ახსი კა) ტ [ვილიისი] კ [ომიტები] (ტახს სახელია ტე გ კ ახსი კა)	ცეკა ტეკა

1) « სოცშექმნება » არაა სწორი.

2) -ი სახელთბითი ბგერების ნიშნითა და არა შემოკლებული სახელების ნიშნით.

3) შემოკლებებისას არა მარტო ადამ კავშირის გამოთვლავა ხდება, არამედ იმავი სიტყვი-

საც, მაგ., « მუშკლებტორაში გამორჩენილია «ღა» (« მუშ [ათა] გ [გლეხთა] კორ [ესპონდენტი] », ხოლო პარტი [ინდისტრული] ორგანიზაცია » აპროფკავშირითა: « პროფ [ესიონაიღური] კავშირითა » საბჭო, ორგანიზაციი = ორ [ომ] ემ [რეკოლთა დამხმარე] კომ [იტები] » და სხვა.



§ 23. კლამატოზიტიზმის ბრუნება. ყველა კლამატოზიტიზმის, გარდა  
 «და» კავშირით შექმნილ აუტომატ (როგორცაა: «ფეხდაფეხ ვეხდეთ»  
 დაკვალ, ანდა...»), იბრუნვის როგორც მარტივი სახელი, მაგ.:

სახ.	ჭიკჭიკი	ვაჟვაცო	და-ძმა	შვილიშვილი	შდ. შვილი
მითხზ.	ჭიკჭიკმა	ვაჟვაცმა	და-ძმამ	შვილიშვილმა	შვილმა
მიც.	ჭიკჭიკს(ა)	ვაჟვაცს(ა)	და-ძმას(ა)	შვილიშვილს(ა)	შვილს(ა)
მიმართ.	ჭიკჭიკად(ა)	ვაჟვაცად(ა)	და-ძმად(ა)	შვილიშვილად(ა)	შვილად(ა)
ნათ.	ჭიკჭიკის(ა)	ვაჟვაცის(ა)	და-ძმის(ა)	შვილიშვილის(ა)	შვილის(ა)
მთქმ.	ჭიკჭიკით(ა)	ვაჟვაცით(ა)	და-ძმით(ა)	შვილიშვილით(ა)	შვილით(ა)

როგორც ვხედავთ, იცვლება მხოლოდ კლამატოზიტიზმის ბოლო ნაწილი, წინა ნაწილი ან ნაწილები კი ყველა ბრუნვაში უცვლელად რჩება. ამ მნიშვნელობა არა აქვს იმას, წინა ნაწილი აუტომატ, თუ რომელიმე ბრუნვის თვითმა, ე.ი. «ავადმყვანი, მკურნალი, ჯარსკაცი, მამიდა» და სხვა ისე იბრუნება, როგორც «ვაჟვაცი, და-ძმა... ან: ვაცი, ძმა» და სხვა.

რაც შეეხება გაერთიანებულ შემოკლებულ სახელებს («ახალ კლამატოზიტებს»), ისინიც მარტივ სახელებსავე იბრუნებიან, მაგ.:

სახ.	განსახვამი	ცაკი	სახელმსაბჭო	შდ. საბჭო
მითხზ.	განსახვამმა	ცაკმა	სახელმსაბჭომ	საბჭომ
მიც.	განსახვამს(ა)	ცაკს(ა)	სახელმსაბჭოს(ა)	საბჭოს(ა)
მიმართ.	განსახვამად	ცაკად	სახელმსაბჭოდ	საბჭოდ
ნათ.	განსახვამის(ა)	ცაკის(ა)	სახელმსაბჭოს	საბჭოს
მთქმ.	განსახვამით(ა)	ცაკით(ა)	სახელმსაბჭოთი	საბჭოთი

ჩანს, აქაც ბოლო ნაწილი იცვლება.

ბრუნების თვალსაზრისით ამაში არ შედის «სხვადასხვა... კვანავი»-ლი როგორც ბრუნვაში გვხვდება. «ფეხდაფეხ, ხელოდახელო...» და სხვები კი არ იცვლება.





დავალებები: 1. როგორ დაიწერება — დეფინიცია: **დეფინიცია** — შეიძლება — შემდეგი კომპონენტები: **ერთ გული, მრავალ ფერადი, მკვიდრი ფერი, სხვა და სხვა ნაირი, ვერცხლის წყალი, ცრემლი მძრეული, წითელი არმიელი, მამა შვილი, დედა შვილი, ნათესავ მეგობრები, სვე ჰელი, მარქსიზმი ლენინიზმი, ქართული სომხური, ბურ მარდილი, ნილაბ აფარებული, ასაკ ვადაცილოებული, წერა კითხვა ო.**

2. რომელიმე მოთხრობის (გნებავე ეგნ. ნინოშვილის „ქრისტინე“ აიღეთ და ერთერთი თავის კომპონენტები გარჩიეთ მართლწერის თვალსაზრისით იქ როგორაა დაბეჭდილი და როგორ უნდა იყოს და რატომ?

3. გარკვეეთ — როგორ და რა სიტყვებისგანაა შედგენილი: **აკომუტრედი, კოლხელშეკრულება, რაიკოლომეურნეკავშირი, ფაბკომი, შმარნი, ადს, რაიკოლოტკავშირი, საკ. ა. ლ. კ. კ., მეთლდსეჭტოტი, საქმარაგგასალემა, წერკუშისი, მუკი, ჯედვადრები, ფაბქარხადგილოკომი ო და სხვა.**

4. ამოწერეთ გაცეთ „კომუნისტის“ ერთერთი ნომრის პირველი გვერდიდან შემოკლებული სიტყვები და გარკვეეთ მათი მნიშვნელობა.

**სახელთა თავისებური ბრუნება.**

§ 24. ზოგი სახელი თავისებურად იბრუნება. მხედველობაში გვაქვს შემდეგი:

1) ლვინო მიუხედავად იმისა, რომ — თქვე დასრულებულა, ნათესაობითსა და მოქმედებითში — თ'ხ იკვცხ, მაგ.: **ნათეს. იწნება: (ლვინ. ის), მოქმ. ლვინ-ით(ა) (უნდა გვქონდა კი: ლვინ-თს, ლვინო-თი).** მრავალობით რიცხვში კი უკვეცხლია: **ლვინო-ებ-ი. ჩანს, ლვინო ისე იბ-**



რუნება, როგორც - ე'ზე დასრულებული ბოლოკვეცილი სახელის (სხვა) მოწოდება და სხვა).


2. ერთმანეთი, როგორც ვთქვით, კომპლექსური ერთ-მან + ერთი (გვ. წ. მკ. გვ. 9, მენიშ.). მრავლ. რიცხვში არ იწარმოებოდა მხოლოლობითი რიცხვში იცვლება ყველა ბრუნვას მიხედვით გარდა მხოლოლობითისა და მიმართულებითისა. მხოლოლობითი ბრუნვის თორმე პირველი ნაწილია მოცემული. ხახ.: ერთმანეთი, მც.: ერთმანეთს(ა), ნათ.: ერთმანეთის(ა), მოქმ.: ერთმანეთით(ა).

ზოგიერთი კუმშვადი სახელი ბრუნვებისა თუნებოყური მოვლენებითაა გართულებული, მაგ.:

3. ა მ ბ ა ჯ ი კუმშვადი სახელია. მხოლოლობითის მიმართ, ნათეს. და მოქმედებითში და მრავლობითის ყველა ბრუნვაში ფუძისეული - ა - ამოიღება და თავს იყრის მშვ თანხმოვნები. სამივე ბგერა ბაგისმიერია <sup>1)</sup>, გამოსათქმელად ძნელი და ამიტომაც იკარგება უკანასკნელი ბგერა ვ, მივიღებთ: მიმართულ.: ა მ ბ - ად, ნათ. ა მ ბ - იხ(ბ). მოქმ.: ა მ ბ - ით(ა); მრავლ. რ. ხახ. ა მ ბ - ებ-ი და სხვა (არ იქნება სწორი, რომ ვიხწაროთ: ა მ ბ ა ვ ა დ, ა მ ბ ა ვ ი ხ, ა მ ბ ა ვ ი თ და სხვა).

4. ლ მ ე რ თ ი სახელიც ფუძეკუმშვადია. მხოლოლობითის სამხ ბრუნვაში (მიმართ., ნათ. და მოქმ.) ფუძისეული - ე - ამოიღებოდა და ეკმონდა: ლ მ რ თ - ად, ლ მ რ თ - იხ(ა), ლ მ რ თ - ით(ა). ეს თორმეტი გამართლებული იყო ძველს წარსულში, საშუალო საუკუნეებში კი გამარტობდა იმ მხრივ, რომ - რ - დაიჭრება და მ შეიცვალა - ჯ - ლ. მას შემდეგ ბგერებს: ლ ვ რ - ად, ლ ვ რ - იხ(ა), ლ ვ რ - ით(ა). ჩვენს ასე უნდა ვიხწაროთ (ხალხური გამართლებებით: « ხ ვ თ ი ხ, ხ ვ თ ი თ » ან: « ხ თ ი ხ, ხ თ ი თ »).

<sup>1)</sup> ე. ი. ამ ბგერების წარმოებისას ბაგეები იღვწენ მონაწილეობას: მ და ბ თანხმოვნების ხწარმოებლად თანვე ბაგე (ბუჩქი) იკუმშება და შემდეგ მოწოდებული ბგერით სვდება, ხოლო ვ ბგერის წარმოებისას ქვედა ბაგე და უ- და უმბლ-ები ერთმანეთს კვრიან და შემდეგ ხორხიდან ამოსული ბგერით გამოდის ნათ.




სადაც ო დაყრევებულია და ქცეულია ხ თანხმოვნად თ-ს ზეგავლენით, ზოგჯერ კი ვ ბგერაც დაკარგულია, არაა ხწორი ფორმები რატურული ფენის ოვალსაზრისით). მრავლ. რიცხვში ფუძე არ იკუმშება და გვაქვს: ღმერთები, ღმერთების(ც) და სხვა.

5. ხ უ ც ე ს ი კუმშვადი სახელია. ფუძისეული - ე - ხმოვნის ამოღების შემდეგ თავს იყრიან ცს თანხმოვნები (უჩვეულო კომპლექსი ბგერათა<sup>1</sup>). - ხ - ბგერა - ც - ხთან მსგავსების გამო იკარგვის მის უშუალოდ შესობლობაში. ამიტომ, რომ გვაქვს მიმართულებითში: ხ უ ც - ა დ (უნდა ყოფილიყო: « ხუცეს-ად », - ე - დაიკარგა და დარჩენილია: « ხუცეს-ად », - ხ - ბგერაც დაიკარგა და დავკრჩა: ხუც-ად), ნაო.: ხუც-ის(ა), მოქმ.: ხუც-ით(ა) და მრავლ. რიცხვში: ხუც-ებ-ი, ხუც-ებ-მა... (შდ.: ხუცეს-ი, ხუცეს-მა, ხუცეს-ნი და სხვა. ამ სიტყვის წარმოშობა იხ. VIII განაკვეთში).

§ 25. პ ი რ თ ა ს ა ხ უ ლ ე ბ ი ს ბ რ უ ნ ე ბ ა. პირთა სახელი სულ ოთხია: « მე, შენ, ჩვენ, თქვენ ».

1. მე პირველი პირის სახელია. პირველი პირი კი ისაა, ვინც ლაპარაკობს.
2. შენ მეორე პირის სახელია. მეორე პირი კი ისაა, ვისაც ველაპარაკებო.
3. ჩვენ პირველი პირის სიმრავლეს ვამოსატყვებ. ამაში იგულისხმევიან მოლაპარაკე პირები, ე.ი. მე მოლაპარაკე პირი მსხვეპივით, რომელიც ველაპარაკებდი, სახელოდობრ: მე და შენ, ან მე და თქვენ, ანდა: მე და ის ან მე და ისინი.
4. თქვენ მეორე პირის სიმრავლეს ვვიჩვენებ. თქვენ სახელს ვხმარობთ მაშინ, როცა ვისაც ველაპარაკებთ, ის ერთზე მეტია

1) ქართულში არაა სიტყვა, სადაც ფუძეში -ცს- იყოს (მხედველობაში არ მიიღება ფუძის ც'სა მ ბოლოსართი -სს დაქმნება, როგორცა: აკაც-ს, მსგ-ს, მონოტ-ს და სხვა)



(ზოგჯერ ზრდილობისთვის შენ'ის შავიერ თქვენ იხმარება).

სხვანაირად რომ ვაქვიათ, მე, შენ სახელები იგივეა და მიგვიერთებენ და ამიტომ მათ მხოლოდობით რიცხვისად თულობან, ხელონ ჩვენ, თქვენ ერთზე მეტს ჰირს (ორს, სამს, ახს...) გამოხატავენ და ამიტომაც მრავლობითად მიიჩნევენ. შინაარსით ეს მართლაც ასეა, ფორმით კი მე და ჩვენ, შენ და თქვენ არავითარ ურთიერთობაში არ არიან, ხულო სხვადასხვა ძირებია გამოყენებული<sup>1</sup>. ამიტომ ის ჩანს, რომ მე და შენ სახელებს მრავლობითის ფორმა არ გააჩნიათ და ჩვენ და თქვენ'ს, გვეტონია, მხოლოდობითაა. მაშასადამე, ესენი რიცხვის მიხედვით არ იცვლებიან.

ბრუნების თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, ასეთ სურათს ვხედავთ:

ხას.	მე	შენ	ჩვენ	თქვენ	(მე ვაკეთებ
მოთხზრ.	მე	შენ	ჩვენ	თქვენ	მე ვაკეთებ
მიც.	მე	შენ	ჩვენ	თქვენ	მე ვამიყვებო
ნათ.	* ჩემ	* შენ	* ჩვენ	* თქვენ	ჩემ მიერ ვაკეთებო
მოქმ.	—	—	—	—	ლო)
მიმართ.	—	—	—	—	—

რას ვხედავთ? 1. სახელობითსა, მოთხზობითსა და მიცემითში თანხივე სახელი უცვლელად გვევლინება, 2. მოქმედებითსა და მიმართულებითში სრულებით არ ვხვდებით და 3. ნათესაობითში მე'სლავნაცვლება ჩემ, დანარჩენები კი იმავე სახითაა წარმოდგენილი, როგორც სახელობითში — ყველაფერი ეს იმას გვეუბნება, რომ ესენი არც ბრუნების მიხედვით იცვლებიან. გამოდის, რომ ჰ ი რ თ ა სახელები ფორმა უცვლელია ყოველივესათვის. მაშ როგორღა ვაკვირებთ წინადადების გარჩევის დროს, თუ რომელი ბრუნვაშია მე, შენ, ჩვენ ან თქვენ? ამაც მივმართოთ შენაცვლების ხერხს, ე.ი. ჰირთა სახელების ნაცვლად ვიხმაროთ ან საკუთარი ან ზოგადი სახელები,

<sup>1</sup> ჩვენ & თქვენ'ში არის თუ არა მრავლობითის ნიშნები, ეს ცალკე კვლევის საგანია.

მაგ., ახე: « მე ვაკეთებ საქმეს»: მე'ს პარალელურად ვიხმაროთ  
 მელომე სახელი: « მე - სიმონი ვაკეთებ საქმეს», ან « მე - სტუდენტი  
 ვაკეთებ საქმეს». აქ მე'ს ენაცვლება სახელოებით ბრუნვაში დასმე  
 ლი სახელი: « სიმონი, სტუდენტი».

« მე ვაკეთებ საქმე»: აქ კი მე'ს ენაცვლება — მოთხრობითში  
 დაყენებული სახელი: « მე - სიმონმა ვაკეთებ საქმე», ან « მე - სტუ-  
 დენტმა ვაკეთებ საქმე» და ახე შემდეგ (სინტაქსის შეხწავლის შემდეგ  
 ასეთი შენაცვლება ზედმეტი იქნება).

რაც შეეხება ნათესაობითს ბრუნვაში წარმოადგენილ ვარსკვლავი-  
 ან რემ, შენ, ჩვენ, თქვენ სიტყვებს, ესენი გვხვდებიან მხოლოდ  
 ე.წ. თანდებულებთან, როგორცაა: - გან, - თვის, - კენ- და სხვა (თან-  
 დებულები ცალკე იქნება განხილული), მაგ: ჩემ მიერ, ჩემ გან, ჩემთვის,  
 შენ მიერ, შენ გან, თქვენკენ, თქვენთვის და სხვა. ნათესაობით ბრუნ-  
 ვისად ესენი იმიტომ მიგვაჩნია, რომ « მიერ, - გან, - თვის, - კენ» სხვა  
 სახელოთაგან ნათესაობითის ფორმას მოითხოვენ: « სტუდენტის მიერ,  
 სტუდენტისთვის, მაშინგან, ქალაქიკენ» და სხვა.<sup>1</sup>


§ 26. კ უ თ ვ ნ ი ლ ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი. კუთვნილებითი  
 სახელები მიიღება პირთა სახელების ნათესაობითისაგან სახელობითი  
 ბრუნვის - ი ნიშნის დაწოვით: « ჩემ-ი, შენ-ი, ჩვენ-ი, თქვენ-ი».

ღებრუნვიან ესენი მხოლოდითიან და მრავლობითში ჩვეულებრივ, სახელებს:

სახ.	ჩემი	შენი	ჩვენი	თქვენი
მოთხრ.	ჩემმა	შენმა	ჩვენმა	თქვენმა
მიც.	ჩემსა	შენს(ა)	ჩვენს(ბ)	თქვენს(ა)
მიმართ.	ჩემად    ჩემდა	შენად    შენდა	ჩვენად    ჩვენდა	თქვენად    თქვენდა <sup>2</sup>

<sup>1</sup> როგორც ვხედავთ, მე, შენ, ჩვენ, თქვენ'ს არცერთი ბრუნვის ფორმა არ გააჩნია,  
 მაგრამ თუ გამოვითვლით ბრუნვისაგან, ეს იმიტომ, რომ ეს სიტყვები წინადადებაში ახ-  
 რულებზე იშვიათად მოხდის. ბრუნვის ფორმის მქონე სახელები.

<sup>2</sup> პარალელური ფორმების არსებობა იმის გამოწვევით, რომ ერთი სიტყვის და მე-



ნათეს.	ჩემის(ა)	შენის(ა)	ჩვენის(ა)	თქვენის(ა)
მთქმ.	ჩემით(ა)	შენით(ა)	ჩვენით(ა)	თქვენით(ა)

მ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი :

სახ.	ჩემები	შენები	ჩვენები	თქვენები
მითხზ.	ჩემებმა	შენებმა	ჩვენებმა	თქვენებმა ჭ სხვ.

ბრუნებისას ამათ არავითარი თავისებურება არ აღმოაჩინდათ, მაგრამ მოვიტანეთ სრულად იმიტომ, რომ ზოგიერთი ამ თვარმათაგანი ნაკლს უკლებს პირთა სახელოებს, სახელოდობრ, მოქმედებობასა და მიმართულებითში. როგორც ვთქვით, მე, შენ, ჩვენ, თქვენ'ს ორი ბრუნვა (მთქმ. და მიმართ.) არ გამოიყენება, ნაკლებად შეხებულად უნამ გამოიყენება კუთვნილობითი სახელოების შთქმ.: « ჩემ-ით, შენ-ით, ჩვენ-ით, თქვენ-ით » და მიმართულებითი: « ჩემად, შენად, ჩვენად, თქვენად ». ჩვენმა გრამატიკოსებმა კი უხვნი (და მათ შორის « ჩემი, შენი, ჩვენი, თქვენი », რომლებიც ნათესაობითად მიიჩნეათ) მიიღეს პირთა სახელოების თვარებზე, მაგრამ, როგორც ხედავთ. ხუნდაცე სამართლობიდან შენიშნავს: „... სრულიად არ იბრუნვის.... მე, შენ, ჩვენ, თქვენ... ყველა ამ თვარებში თვარმა კუთვნილობითი ნაკლს სახელოების თვარებშია და არა პირთა სახელოების“: შენთ გრამ., გვ. 44, 268).

არის შემთხვევები, რომ კუთვნილობითი სახელოები ხედავთ ბრუნვების უნაქვან შეგვიერთებს პირთა სახელოებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა თანდებულებია (-ნე, -ში, & თან...) გამოყენებულია, მაგ.: „ რეზნე, ჩემთან, თქვენში... » ა. ამ შემთხვევაში ბრუნვებისთან გვაქვს ხაჭმე, ხადაც მისა-

ორე ახალა. ძველი: « ჩემ-და, შენ-და, ჩვენ-და, თქვენ-დათ. ანუ ვივარაუდებთ, რომ ა არის მხარხარული ნაწილაკი (იხ. § 16), მაშინ - და იქნება მიმართულებითი ნიშანი, რაც ძველს ქართულში საკუთარ სახელოებთან იყო გამოიყენებული, მაგ.: « იერუხალეთში-და, თამარ-და ». ზოგად სახელოებთან ნახარის - და დაშორებულია ალბათ შემბრუნებელი - და ბოლოსაქთია, ე. ი. - და სუბიექტი დაიშორება რასად: - ა-ფ, ხადაც მიმართულებითი ბრუნვის ნიშანი - და, ხადაც - ა- მხარხარული ნაწილაკი.

ლოდნელი იყო: «ჩემთან, ჩემზე, ჩემში», მაგრამ — დაიკარგა. შ. თ. ბგერების შეზღუდვაში და შეკვრა «ჩემთან, ჩემზე, ჩემში» პირთა სახელი ვი მიცემითში გვაქვს: მე და არა: «ჩემს». მათანადამე, უნდა გვქონოდა: «მეზე, მეთან, მეში» და არა «ჩემზე, ჩემთან...» ასეთივე მაგივრობა ჩანს ნათესაობითშიც: «ჩემისთანა, თქვენისთანა» რომ დავშალოთ, ვნახავთ «ჩემის + თანა, თქვენის + თანა», სადაც «ჩემის, თქვენის» კუთვნილებითიდანაა აღებული.

თ ა ს კ ვ ნ ა. კუთვნილებითის თვარმეტი არა მარტო ავსებენ პირთა სახელოების ნაკლს მოქმედებითსა და მიმართულებითში, არამედ ზოგჯერ შეტოქვობასაც ვი უნევენ სხვა ბრუნვებში.

§ 27. შ ი თ ი თ ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი. პირველი და მეორე პირის გარდა არის მესამე პირიც. მესამე პირი ისაა, ვისზედაც ვლაპარაკობთ (პირთა შესახებ დაწვრილებით შელოხე განაკვეთში). მესამე პირის სახელოებია: ეს, ეგ, მაგ, ის, იგი, ხოლო მრავლობითში: ესენი, ეგენი (მაგრნი), ისინი, იგინი. მაგრამ ამათ ში თ ი თ ე ბ ი თ ს (და არა პირთა) სახელოებს იძიებთ ვეძახით, რომ მათი ხმატება ჩვეულებრივია არაპირებთან, მაგ.: «მე ვაკაკეთე ის საქმე» და სხვა.

ესენი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მნიშვნელობით, სახელობრ: ეს, ეგ მიუთითებს იმ საგანზე, რომელიც პირველი პირის ახლოს არის, მაგ.: «ეს წიგნი შევიძინე». მაგ ვი მიუთითებს იმ საგანზე, რომელიც მეორე პირის ახლოსაა, რაც შეეხება ის, იგი სიტყვებს, ისინი მნიშვნელობით ერთიდაიგივენი არიან (როგორც ეს, ეგ არის) და მიუთითებენ იმ საგანზე, რომელიც მესამე პირის ახლოსაა, მაგ.: «ის წიგნი მომეწონა», შდ. «ეგ წიგნი მომანოდე».

იბრუნებიან ესენი შემდეგნაირად:



მ ხ თ ლ ო ლ ბ ი თ შ ი:

სახ.	ქს, ევ	შაგ	ივი    ის	
შოთხბრ.	აშა-ნ	შაგა-ნ	შა-ნ	იშა-ნ
შიც.	აშა-ს	შაგა-ს	შა-ს	იშა-ს
შიმართ.	აშა-დ	შაგა-დ	[შა-დ]	იშა-დ
ნათეს.	აშ-ის	შაგ-ის	შ-ის	იშ-ის
შოქმ.	აშ-იოთ	შაგ-იოთ	შ-იოთ	იშ-იოთ


შ რ ა ვ ლ ო ლ ბ ი თ შ ი:

სახ.	ეხე-ნ-ი    ეგე-ნ-ი	შავი-ნ-ი <sup>2)</sup>	ივი-ნ-ი    ისი-ნ-ი	
შოთხბრ.	} აშა-თ	} შაგა-თ	} შა-თ	} იშა-თ
შიც.				
ნათეს.				
შოქმ.	—	—	—	—
შიმართ	—	—	—	—

როგორც ვხედავთ, ორ ფუძესაან კვაძვსაქსაქმე: ერთი ფუძე მხოლოდ ბითთისა და შრავლობითის სახელობითშია წარმოდგენილი და შეორე-სხვა ბრუნვეში. სახელობითში არის: ეს, ევ, შაგ, ის, ივი, შაგამ ზოგი აშაგანი შემოკლებულია. უნდა ყოველივე: «ესე, ეგე, შავი, ისი». ასეთი ფორმების არსებობას ადასტურებენ: 1. ძველი ქართული, სადაც «ესე, ეგე» გვხვდება (ესე ეწის და სე განვედა და ესე კანონი ჭქონდა»: ამოღებულია შეაგე საუკუნის ბექსტიდან). ახლოს ქართულში «ესე» შემონახულია გამოთქმში «ესე ივი». 2. დიალექტები (კუთხური ენები), სადაც დაცულია «შავი, ისი». შავლითად, «შავი» გურულში კ ბგერის გამოკლებით იშარება: «შიი (კატი)», «ისი» კი ბემოიშერულშია გამაბნეებული. 3. -ნ- ან -ებ- ბოლოსართით ნაწარმები შრავლობითი, სადაც წირვანდელი სახეა აღდგენილი: «ესე-ნ-ი,

1) შავი-ნი, შაგ-ნი საღვთაბუღალთ ენაში არ იშარება, კუთხურ ენაში კი ვხვდებით.






ევე-ნ-ი, ისი-ნ-ი, იგი-ნ-ი<sup>1</sup>, ან: «(ესე-ემ-ი) ევე-ემ-ი», კუთხურში  
 კი «შავი-ნ-ი || შავე-ნ-ი, შავე-ემ-ი, ისე-ემ-ი» (სწმი უკანასკნელი ანა-  
 ლოგიითაა ნაწარმოები «(ესე-ემ-ი) ევე-ემ-ი»-ზე, უნდა გვქონდა: «შა-  
 ვი-ემ-ი, ისე-ემ-ი» შდ. «აკვი-ემ-ი» გრ. თარგმანისა) და ა-ვე, ა-  
 ნაწილაკების, დაწვავა. ხსენებული ნაწილაკები დაერთვის მხოლოდ ხსენ-  
 თუძეს, მაგ. ესეც, ევეც<sup>2</sup>, შავიც, ისიც, ესევე, ივევე, შავივე. მაშა-  
 სადამე, მხოლოდობითის ხახელოთბითში ხმოვანკვეცილოთ თუძეები  
 გვქონია: ეს, ევა, შავ, ის ნაცვლოდ ესე, ევე, შავი, ისი თუძეებისა.  
 «შავი, ისი, იგი»-ს მკვეცებში - ი თუძის კუთხურლოებაა და არა სახელო-  
 ბითა. ბრუნვის წმინდი. მიუხედავად ამისა პირველ თრს («შავი,  
 ისი») თუძეს - ი მოეკვეცა, უკანასკნელს («იგი»-ს შერჩა როგორც  
 თუძისეული. ამ ხტყვებს რიცხვის კატეგორია ახასიათებს, ბრუნვისა კი  
 არა. სხვა ბრუნვებში (გარდა სახელოთბითისა) ხულო სხვა თუძეებშია გა-  
 შოყუნებული, სახელოდობრ: ა.მ.ა, ი.მ.ა, შა და შავა. მნიშვნელო-  
 ბით ესენი, როგორც ზევითა გავარკვიეთ, სხვადასხვა არიან: «ამა» მი-  
 უთითებს პირველი პირის ახლოს მყოფზე (არსებულზე), «შავა» მე-  
 ლრე პირისა და «შა, იმა» შესამე პირის ახლოს მყოფზე. «ამა, ი.მ.ა,  
 შა» სახელოებში საერთოა «შა», მნიშვნელობაში სხვადასხვაობა  
 შეაქვთ თავკიდურ ა- (ა-შა) და ი- (ი-შა) ნაწილაკებს. სწორედ  
 ა- გამოხატავს პირველ პირთან სიახლოვეს და ი- შესამე პირთან,  
 ამიტომ ესენი სხვა შემთხვევებშიც გამოყენებულნი არიან: აქ-იქ,  
 ა-გი<sup>3</sup> - თგი. რა სხვა. რაც შეუხება «შავა»ს, ეს სახელი თრად იმ-  
 ლობა «შა-გა», სადაც შა მეორე პირთან სიახლოვის გამოხატვე-

1) კუთხურში «ისენი, ივენი» გვხვდება. შთა წარმოშობას ხელი შეუწყობს  
 «ესენი, ევენი»-ს არსებობაში: უკანასკნელთა მიმსგავსებითა აწარმოეს «ისენი, ივენი».

2) «ევიც» კუთხური თორშაა, მიღებული «ივიც»-ს ანალოგიით.

3) ავი ვურულიში გვხვდება. სალიტერატურო ენაში ხმატებული ა ი  
 წარმომდგარი უნდა იყოს «ავი»-საგან გ ბგერის დაკარგვით.



ლია (შდ. მაგი, მა-ქ)<sup>1</sup>. ყველა ეს სახელი (ამა, იმა, მა, მაგა) ხმოვანფუნქციონირებს და ბოლოფუნქციონირებს  $\chi$ გუფის განეკუთვნება, ე. ი. ისე იბრუნება, როგორც «დედა, ძმა» და სხვა, ოღონდ შათგან ორი თვალსაჩინო შემთხვევაში განსხვავდება: 1. ამა, იმა, მა, მაგა სიტყვებს სახელობითი ბრუნვა არ გააჩნიათ და 2. მოთხრობითში მოუღიოთ ნიშანი -წ (ამა-წ, იმა-წ, მაგა-წ, მა-წ. უკანასკნელი — «მა-წ» ძველს ქართულშივე გამოყენებულია მოთხრობითის ბოლოსხარებად: ვაჟ-მან, დედა-მან... შემდეგში - წ მოეკვეცა და დაგვრჩა - მა: ვაჟ-მა, დედა-მა, ბოლოსმოყვანებთან - ა'ც დაიკარგა და დღეს ვამბობთ: დედა-მ, მოწათე-მ...).


ამგვარად, შიდათვითი სახელოები ბრუნებისას თრფუნქციონირებენ: სახელობითშია ეს(ა), ეგ(ა), მაგ(ა), იგი, ის(ი) და სხვა ბრუნებშია: ამა, იმა, მა, მაგა. უკანასკნელი - ა'ზე დათავებული ბოლოფუნქციონირებს სახელოთა შესავსად იბრუნებიან, ოღონდ მოთხრობითში - წ სუფიქსს დაირთავენ და სახელობითში არ გვევლინებიან.

რაც შეეხება ამათგან მრავლ. რიცხვის - ებ - ბოლოსხარითი წარმოებას, გვხვდება (შედარებით იშვიათად) ასეთი ფორმები: «ამე-ებ-მა, ამე-ებ-ით» და სხვა. (უნდა ყოფილიყო: «ამა-ებ-მა»)

1) ძალიან საინტერესოა როგორც შიდათვითითი, ისე ქართლ და სხვა სახელოების ისტორიული განხილვა. მაგრამ ეს ცალკე კვლევის საგანია. ამ კი უადგილო არ იქნება ზოგიერთი როგორც შიდათვითითი, ისე ანალოგიური შედგენილობის სხვა სიტყვები დავასახელოთ:

	I ჰირის ახლოს	III ჰირის ახლოს	II ჰირის ახლოს
გ:	აგი	ეგი	მაგი, მაგა
ქ:	აქ	იქ	მაქ
ხ:	ახე	იხე	მახე
შა:	ამა	იმა	—

ამათი ჰირვანდები სახისა & მნიშვნელობის გამოკვეთა სხვა დროისათვის გადაგვივლია.



აშა-ებ-იდა, მაგრამ ბოლო -ა- დაემსგავსა -ე-ს და მივიღეთ: აშე-  
 -ებ-მა...). შრავლობითში ჯერჯერობით ვაბატონებულია -ნ- და -თ  
 სუფიქსიანი ფორმები: «ეგენი, ესენი, იგენი, ისინი» და «ამადა, იმადა,  
 მათა» და სხვა.

შ ე ნ ი შ ე ნ ა . შიგთხედით სახელებთან მართლმწიფველობა-მართლ-  
 წერის საკითხებია დაკავშირებული. სშირად გაიგონებთ დასავლელიებთან-  
 გან ასეთ ფორმებს: «აგენი, ისენი, აგენს, აგენმა, იგენმა, ამათმა, მათმა»  
 და სხვადასხვა. რა თქმა უნდა, სალიტერატურო ენის თვალსაზრისით არც-  
 ერთი ამათგანი «სწორი» არაა და ამიტომ არც უნდა ვთქვათ და არც უნდა  
 ვწერათ. მართებული ფორმების ცხრილი წვეთაა მოცემული (გვ. 21). შიგ  
 დამახსოვრება არც ისე ძნელია.

ჭ 28. ვ ი თ ხ ვ ი თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი . კითხვითი სახელებიდან  
 ბრუნებისას თავისებურება ახასიათებს მხოლოდ ვ ი ნ სახელოს. დანარჩე-  
 ნები: «რომელი, როგორი, რა» და სხვა ჩვეულებრივ იცვლებიან. ვ ი ნ  
 იბრუნება შემდეგნაირად:

სახ. ვინ

მოთხ. ვინ


მიც. ვის(ა)

ნათ. ვის («ვის-გან, ვის-თვის, ვის მიერ» და სხვა).

აქ -ნ მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია (ეგვე -ნ შიგთხედით სახე-  
 ლებს აქვთ გამოყენებული მოთხრობითი: ჭ 27). მაშასადამე, სახელო-  
 ბით მოთხრობითის ფორმა უხესხებია და საკუთარი დაუკარგავს. მიცე-  
 შიგთხედის სუფიქსია -ს(ა), ხლოთ ნათესაობითის -ს შიღებულობა -ის ბო-  
 ლოსართისაგან. მაშ თუქე ყოფილა ვი. ქართულ სიტყვებში ეს ერთად-  
 ერთად სახელია, რომელსაც თუქისეული ბოლოკვიდური -ი შერჩენილი  
 აქვს ბრუნვებში. ამგვარად, სახელობითში უნდა გვქონოდა ვი და ნათესა-  
 ბითში \*ვი-ის, მაგრამ ჰირველი არ გვხვდება და უკანასკნელში სუფიქ-  
 სისეული -ი- დაკარგულია (შდ. ჩაი, ნათეს. ჩაის ← \*ჩაი+ის). შიგ-



ნეტებიდისა და მიმართულებიდასათვის საკუთარი ფორმები მოეწოდება, ხეხსულობს ამავე სახელის ნათესაობიდასათვის - იხ და რთ- ვია ნაწარმოებ კუთვნილებითი სახელის (გვ.42) მოქმედებია ვის- - ით და რა კითხვითი სახელის მიმართულებით: რა-დ. საბო- ლლოდ ვი ასეთი სახით წარმოგვიდგება:



როგორც ჩანს, საკმაოდ დეფექტური აღმოჩნდა ვინ სახელი. მრავლობითი რიცხვი არ გააჩნია, თუ ვინმე სხვა სახელითა ანალოგიით არ აწარმოებს.

რაც შეეხება რა კითხვითს სახელს, იგი ჩვეულებრივი წესით იბრუნება: მისდევს - ა'ზე დათავებულ ბოლოკვეცილო სახელებს (იხ. ცხრილი ზევით). მრავლობ. რიცხვში ორივე წარმოება გვაქვს - ნ- და - ებ- სუფიქსებით: «რა-ნ-ი» („რანი ვიყავით გუშინ?») და «რა-ებ-ი» (ხმლ- ვანთა დამსგავსების შემდეგ: «რე-ებ-ი»). ბრუნებისას მხოლოდ - ებ- ბოლოსართიანი იცვლება («რე-ებ-მა, რე-ებ-ს...»). სალიტერატურო ქართულში ეს ფორმები განმტკიცებულნი არ არიან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : უპრობლემის გამოხატული არა, ვერა, ნურა! ნუ ნაწილაკების დარღვევითა მიღებული ვინ და რა სახელებსაგან: არა ვინ (|| არვინ), ვერა ვინ (|| ვერვინ), ნურა ვინ (|| ნუვინ) 2, არა რა, ვერა, ნურა სახელები. ესენი ისე იბრუნვიან, როგორც მათი შემადგენელი

1) ნურა - ასეთი ნაწილაკი ცალკე არ არსებობს, იგი გვხვდება კითხვითს სახელიდან: ნურავინ (უნდა ყოფილიყო რ არის კიდევ ნუვინ) რა ამ გაჩენილია არავინ რ გერავინ სახელითა ანალოგიით.  
შუბრისხილებში ჩასატყობ სახელები პარალელურად იმსახრებიან, მაგამ. უმთავრესად იქნებში არიან გამოყენებული.



ვინ და რა, თორღრ და რა, ვერა, ნურა» ბოლომდევეცვლილ სენა  
 («ვერა»-ს თქმა ადვილია»: «ვერას» ამ ნათეს. ბრუნვაში). ანა რა შე-  
 მოკლდა და მივიღეთ არა შემდეგი გზის გავლით: «ანა რა» ჯერ იქვე  
 «ანა რა» (ა- იქნა ამოღებული). შემდეგ ერთი რ დაიკარგა და თავგანა არა.  
 ეს სახელი უარყოფითი არა (არ) ნაწილაკისაგან იმით განსხვავდება, რომ იბ-  
 რუნება (არა ნაწილაკი კი უცვლილია): «არას გეტყვი» ნიშნავს: «ანა რას  
 გეტყვი, არაფერს გეტყვი». ასევე მიღებული «ვერა» სახელი «ვერა რასაგან.  
 ვერა რც იბრუნება: «ვერას გეტყვი» = «ვერა რას გეტყვი, ვერაფერს გეტყვი».

§ 29. ნაწილაკებიანი სახელითა ბრუნება. ნაწილა-  
 კებიდან მხედველობაში გვაქვს: -შე, -ვე, -ლა, -ცა ან ც და თრი უკა-  
 ნასუნელით კომპოზიტი: ლ ა ც (ა)<sup>1</sup>. ესენი დაერთვიან რთვლად სახელოებს, ისე  
 თორმეუცვლილებო სიტყვებს, მაგ.: «რამე, რომელიმე, თრივე, იგივე, ბავშვს,  
 რაღა, რაღაცა...», მაგრამ: «რთვლამე, საღმე, იქვე, ახლოვე, საღაც, შემდე-  
 გაც, უკანა, რთვისლა, ბარემლაც» და სხვა შრავალი. ჩვენ გვინტერესებს  
 ამ ნაწილაკებიანი სახელითა თავისებური ბრუნება. ამიტომ შევეხებით  
 მხოლოდ დამახასიათებლო. ზოგადად კი მდგომარეობა ასეთია. წინათ  
 - ძველს ქართულში ეს ნაწილაკები დაერთვოდა სიტყვის ამათუიმ  
 ბრუნვითს თორმას, ე. ი. სახელი იბრუნებოდა და მას უცვლილად ემა-  
 ტებოდა ნაწილაკი. ეს ძველი წარმოებდა ახლის ქართულში  
 რიგინადაა შემონახული. ამის გარდა დღევანდელ სალიტერატურო ქარ-  
 თულში გვაქვს ახალი წარმოებდაც, რაც იმას ნიშნავს, რომ ნა-  
 წილაკი შემორცმულია სახელითან და ნაწილაკითურთ იბრუნება. -შე,  
 -ვე, -ლა ნაწილაკიანი სახელი ახალი წარმოებებისა მისდევს ფუძე-  
 უკვეცვლითა ჯგუფს. არის შემთხვევები ძველი წარმოებით მოცემული  
 თორმის ახალი წარმოებისა, რაც გვაძლიებს ნ ა რ ე ვ თორმას. ა-

1) არალიტერატურულ ენაში: -ცაღა (ვიცაღა, რაცაღა, -ა. ხმოვნის ამო-  
 ლებითა: ვიცლა, რაცლა, თანხმოვანთა დამხვავების შემდეგ ვიცხა, რაცხა, რაც  
 ასე გავრცელებულია დასავლურს დიალექტებში, მაგ.: ვინცხამ ძალი მოღა»: ე. ნინოშვილი  
 ტ. I, გვ. 130).



გვარად. შესაძლებელია ნაწილაკიანი სახელი ზოგიერთ ბრუნვაში  
სამი — ძველი, ახალი და ნარევი - სახით წარმოვვიდგეს.  
უნახოთ მაგალითებით:

A. - მე ნაწილაკი დაერთვის კითხვითს სახელებს<sup>4</sup>: «ვინ+მე,  
რა+მე, რომელი+მე, რამდენი+მე» და უკანახუნელი ხდებიან კით-  
ხვითის ნაცვლად განუსაზღვრელი სახელები: «ვინმე, რამე  
(რაიმე), რომელიმე, რამდენიმე». ახალია შემთხვევა როგორც ძველი, ისე  
ახალი წარმოება, პირველ ორს კი ნარევიც. მაგალითად:

	ძველი წარმოება	ახალი წარმოება	ნარევი
სახ.	ვინმე	ვინმე	—
მოთხრ.	[ვინმე] <sup>2</sup>	ვინმემ <sup>2</sup>	—
მიც.	ვისმე	ვინმეს	ვისმეს.
მიმართ.	—	ვინმედ	—
ნათ.	ვის...მე <sup>3</sup>	ვინმეს	ვისმეს (გან)
მომვ.	—	ვინმეთი	—
სახ.	რამე (რაიმე)	რამე <sup>5</sup> (რაიმე)	—
მოთხრ.	— 2	რამემ	—
მიც.	რასმე	რამეს (რაიმეს)	რასმეს
მიმართ.	რადმე	რამედ	—
ნათ.	რისამე	რამეს (რაიმეს)    რამის	—
მომვ.	რითმე	რამეთი (რაიმეთი)    რამით <sup>4</sup>	—

<sup>1</sup>) ამჟამად არ გვაინტერესებს - მე ნაწილაკადართული ფორმაცვლიდი სიტყვები „ხოლომე, ხადმე“ -

<sup>2</sup>) ახალ ქართულში მოთხრობითში მხოლოდ ვინმემ არის გავრცელებული, ძვ. ქართულის ვინმე მოხსნილია. ამგვარადვე მოსადღესელი რამმე არ იხმარება, გაბატონებულია რამემ.

<sup>3</sup>) მრავალწევრილი მაჩვენებელი იმისა, რომ იქ გამოტოვებულია რომელიმე თანხმებული: «თვის, გან» ან სხვა, მაგ.: «ვის+თვის+მე, ვის+გან+მე» და სხვა.

<sup>4</sup>) «რამის, რამით» ძალიან ხშირი არ არის. რაც შეეხება «რამიმე» ფორმას, მას საღიბტობაჭრობაში ადგილი აქვს. უნდა ჰქონდეს მრავლობის კონსონანტი ეს ფორმები უაზრო.

<sup>5</sup>) მრავლ. რიცხვს ჩვეულებრივ - ებ მთელსართობა აწარმოებენ: «ვინმე-ვბ-ი, რამე-ვბ-ი» ან: «ვინმე-ვინმე-ვბ-ი, რამე-რამე-ვბ-ი» ზ. (მაგ.: «ისეთი რამეები წამოართყა»: ე.ნაშვილი, ტ. I გვ. 127)



ახეთივე პარალელური ფორმები გაჩნდა «რამდენიმე, რომელიმე» სახელებს, ნარევი სახე კი არ ახასიათებს. აი რამდენიმე ბრუნვის ნიმუში:

ძველი წარმოება:

ახალი წარმოება:

სახ.	რომელიმე	რამდენიმე	რომელიმე	რამდენიმე
მოთხზ.	რომელმამე	რამდენმამე	რომელიმემ	რამდენიმემ
მიც.	რომელსამე	რამდენსამე	რომელიმეს	რამდენიმეს ზსბ

